გიორგი ნარიმანიშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
g.narimanishvili@freeuni.edu.ge

დავით ბერაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
dbera18@freeuni.edu.ge

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების მნიშვნელობა ციხესიმაგრის ალყისა და დაცვისას ალ-ჰარავის ტრაქტატის მიხედვით: სალაჰ ად-დინი და მასიაფის ციხე

რეზიუმე

დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო პოპულარული ხდება ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ განხილვა. აღნიშნული ტერმინი დაინტერესებულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მეთაურის, ვალერი გერასიმოვის მიერ 2013 წლის იანვარში „სამხედრო მეცნიერებების აკადემიაში“ წაკითხული მოხსენების შემდეგ, რომელიც შემდგომ გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში და „გერასიმოვის დოქტრინა“ ეწოდა (კონცეპციების ავთენტურობასა და ორიგინალობაზე წინამდებარე სტატიაში არ ვისაუბრებთ) (Герасимов 2013). სტატიის გამოქვეყნებიდან მალე მსოფლიო ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ სამხედრო კამპანიების წარმოება მხოლოდ სამხედრო ძალას არ ითვალისწინებს და საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია მრავალმხრივი მოქმედება არასამხედრო ელემენტების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ „ჰიბრიდული ომი“, კონცეპტუალური სახით, ფართო აუდიტორიისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ვ. გერასიმოვის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ისტორიული მაგალითები გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ტაქტიკა, ისტორიის მანძილზე, თითქმის ყველა სამხედრო კონფლიქტში გამოიყენებოდა. ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ ელემენტების აღწერა გვხვდება ისტორიულ ნაშრომებში, სადაც ავტორები საუბრობენ მოწინააღმდეგის მიმართ ზემოქმედების დივერსიფიკაციის აუცილებლობაზე. წინამდებარე სტატია ეძღვნება შუა საუკუნეების არაბი ავტორის, ალ-ჰარავის მიერ განხილულ „ჰიბრიდულ“ ტაქტიკებს, კერძოდ კი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების მნიშვნელობას ციხე-სიმაგრეების ალყისას. სტატიაში შევეცდებით გავაანალიზოთ ხსენებული ტაქტიკის ერთი კონკრეტული მაგალითი - სალაჰ ად-დინის ალყა მასიაფის ციხეზე.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები, სალაჰ ად-დინი, ასასინები, მასიაფის ციხე, შუა საუკუნეების სამხედრო საქმე.

საომარი მოქმედებებისას, „ჰიბრიდული ომის“ ელემენტებს, მათ შორის, საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ოპერაციებს უდიდესი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კარგად გათვლილი დეზინფორმაციის გავრცელების გზით მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება და მოწყვლადი ჯგუფების მორალური გატეხვა, გამარჯვების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ამის მაგალითები მრავლად გვხვდება მსოფლიო ისტორიაში. უძველესი დროიდან, მხედართმთავრები და პოლიტიკური ლიდერები ნებისმიერი ხერხით

ცდილობდნენ, და დღესაც ცდილობენ, მოწინააღმდეგის დასუსტებისთვის შესაბამისი საინ-ფორმაციო-ფსიქოლოგიური ველის შექმნას, მტრის ბანაკში უნდობლობისა და არეულობის გამოწვევას, რაც მას სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევაში შეუშლის ხელს.

„ჰიბრიდული ომის“ ელემენტები კარგად არის აღწერილი შუა საუკუნეების არაბი ავ-ტორის, ალ-ჰარავის ნაშრომში „ალ-ჰარავის ტრაქტატი სამხედრო ხრიკების შესახებ“[1]. წინამ-დებარე სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ ხსენებულ ტრაქტატში, ციხე-სიმაგრეების ალ-ყის მოწყობისა და ალყის დროს თავდაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ თავებზე. ცნობილი მეცნიერი უილიამ ჯეიმს ჰამბლინი ციხე-სიმაგრეების ალყებისადმი მიძღვნილ თავს, ალ-ჰა-რავის ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს. მისი განმარტებით, აღნიშნული თავი არა მხოლოდ ალყის მოწყობის სტანდარტულ გზებს მოიცავს, არამედ ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების მოკლე ვადაში, დიდი დანახარჯებისა და სრულმასშტაბიანი შეტევის გა-რეშე აღების სხვადასხვა განსაკუთრებულ ტაქტიკას გვთავაზობს. ტექსტის შინაარსის პრაქ-ტიკულობის საილუსტრაციოდ, ჰამბლინი სალაჰ ად-დინის მიერ ბორზეის, იგივე მირზას ცი-ხე-სიმაგრის ალყის მაგალითს განიხილავს (Hamblin 1992, 232-234).

ჩვენი მიზანია ალ-ჰარავის ნაშრომში წარმოდგენილი ტაქტიკის არა სამხედრო ანალი-ზი, არამედ კომპლექსური ოპერაციებისას ჰიბრიდული ელემენტების გამოყენება განვიხი-ლოთ. კერძოდ, შევეცდებით გავაანალიზოთ ალყის პირობებში საინფორმაციო-ფსიქოლოგი-ური ოპერაციების ეფექტურობა სალაჰ ად-დინის მიერ მასიაფის ციხე-სიმაგრის ალყის მაგა-ლითზე.

ალყის წარმოებასა და ალყისგან თავდაცვას ალ-ჰარავი განიხილავს საკუთარი ნაშრომის XXI და XXIII თავებში და აქვე საუბრობს ალყის პირობებში, ასიმეტრიული მეთოდებისა და საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებაზე. არაბი ავტორის თქმით, ალყის წარმოებისას თავდამსხმელთა თუ დაცვაში მყოფთა ფსიქოლოგიური მდგრადობა წარმატე-ბის ერთ-ერთ მთავარ საწინდარს წარმოადგენს. ალ-ჰარავი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნების-მიერი ლიდერი თუ მხედართმთავარი ვალდებულია იზრუნოს საკუთარი ქვეშევრდომების კეთილდღეობასა და მორალზე. ალ-ჰარავის თქმით, თუ მხედართმთავარს განზრახული აქვს ალყის მოწყობა, ის:

> არ უნდა დაესხას თავს ძლიერ ციხე-სიმაგრეს ანდა გამაგრებულ ადგილს მანამ, სანამ არ მოიგებს თავისი ხალხის, ჯარისკაცების, მეთაურებისა და მხედართმთავრების გულებს ყველაფრით, რაც შეუძლია და ხელეწიფება, ასევე დაუკმაყოფილებს დიდებულებსა და ემირებს ყველა მათ სურვილსა და მოთხოვნას, ეს კი წინ უნდა უძღოდეს ლაშქრობასა და ალყას (Al-Harawiyyi n.d., 23)[2].

თავის მხრივ თავდაცვაში მყოფი ხელისუფალიც ვალდებულია იზრუნოს საკუთარ გა-რემოცვაზე:

> თუ მის [ხელისუფლის] წინააღმდეგ მტერმა გაილაშქრა და მას არ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს, არ შეუძლია თავი დაიცვას ან პირისპირ შეხვდეს, სასწრაფოდ უნდა გააძლიე-როს საკუთარი ლაშქარი, მოიგოს თანამებრძოლთა, სამხედრო მეთაურთა და ქვეშევრ-

---

[1] ალ-ჰარავისა და მის ნაშრომზე ინფორმაცია იხ.: ნარიმანიშვილი გ., ბერაძე დ. 2024. „ინფორმაცია, ჯაშუშები და საიდუმლო XII საუკუნის არაბულ სამხედრო ტრაქტატში“. *თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი*, no. 6. თბილისი. https://journals.org.ge/index.php/asianstudies/article/view/176; Díaz, O. T. 2014. *"Al-Taḏkira al-Harawiyya: Un Espejo De Príncipes Singular."* Facultad de Filología, Grado en Estudios Árabes e Islámicos, Trabajo de Fin de Grado, Curso 2013/2014, Tutor: Rafael Valencia Rodríguez, Universidad de Sevilla; Sourdel-Thomine, J. 1961. "Les Conseils du Šayh Al-Harawi a un Prince Ayyubide." In *Bulletin d'études orientales* 17 (1961-1962): 205-268; Sourdel-Thomine, J. 1986. "Al-Harawī al-Mawṣilī." In *The Encyclopedia of Islam*, New Edition Prepared by a Number of Leading Orientalists, edited by B. Lewis, V. L. Menage, Ch. Pellat and J. Schacht, vol. III, 178. Leiden: Brill and London: Lizac and Co.

[2] თარგმანში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით აბდ ალ-ჯაბბარ შეიხ ალის, თამარ ცინცაძეს და ელე-ნე სვიანაძეს.

> დომთა გულები ყველაფრით, რაც შეუძლია და ხელეწიფება. ... რომელთაც შენიშნავს სიმრუდეს, გაასწოროს, გზასაცდენილებს სწორი მიმართულება მისცეს, ხოლო სულიერად არამდგრადი შეაგულიანოს .... უნდა მოიგოს მშენებელთა და ინჟინერთა, ღამის გუშაგთა (?), მოისრეთა, არტილერისტთა და საუკეთესო მებრძოლთა გულები და ისინი უყურადღებოდ არ დატოვოს (Al-Harawiyyi n.d., 26).

ამასთან, ავტორი აღწერს იმ მეთოდებს, რომლების გამოყენებით შესაძლოა მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური მდგრადობის შერყევა და ტაქტიკური უპირატესობის მოპოვება. ალ-ჰარავი ურჩევს მოიერიშე ლაშქრის მეთაურს გამოიყენოს სისწრაფისა და მასშტაბურობის ეფექტი, რათა გატეხოს ალყაში მყოფთა მორალური მდგომარეობა, თუმცა აქვე აფრთხილებს, რომ თავადაც არ უნდა აყვეს ემოციებს:

> [მხედართმთავარმა] სასწრაფოდ შემოარტყას ალყა და გადავიდეს შეტევაზე, გააოცოს [ციხე-სიმაგრის] მოსახლეობა ბრძოლის სიშმაგითა და იერიშის არ შეანელოს ის [შეტევა] და [ასე] მოიპოვებს გამარჯვებასა და მიიღებს სასურველს. შეამციროს სირთულეები, თუ ეს სარგებელს მოუტანს და არ მოდუნდეს ან არ შეიპყროს სიბრაზემ, რადგან ეს მას დაასუსტებს და ძალას წაართმევს (Al-Harawiyyi n.d., 23).

ავტორის თქმით, ხსენებული ეფექტი იმოქმედებს ალყაში მყოფთა ბრძოლისუნარიანობაზე და მათ შესაძლოა კაპიტულაციის სურვილი გაუჩნდეთ:

> იცოდეს, რომ მის მიერ ძლიერი ციხე-სიმაგრისა ან გამაგრებული ადგილის აღება, მისი უმოწყალოდ განადგურება, ღირსების შებღალვა გაშმაგებული შეტევებით და დაპყრობა ძალითა თუ შეთანხმების საფუძველზე, შიშის, გაძლიერებული იერიშების, დაუნდობლობისა და ძალადობის [მოლოდინები] ქვეყანაში გამოიწვევს არეულობებს. ამის შემდეგაც არ უნდა მოეშვას [მხედართმთავარი] ციხე-სიმაგრესა თუ დაცულ ადგილებზე შეტევებს, შემდგომ შესაძლოა მისმა [ციხესიმაგრე ან დაცული ადგილი] მოსახლეობამ მას [მხედართმთავარს] მიწეროს, ხოლო მფლობელებმა ელჩები გაუგზავნონ და მისი შიშით ციხე-სიმაგრის ჩაბარება შესთავაზონ, რადგანაც სურთ მისი მმართველობა და ეშინიათ მისი ძალაუფლების (Al-Harawiyyi n.d., 23-24).

ალ-ჰარავი ასევე საუბრობს თავდაცვაში მყოფთა მხრიდან მოულოდნელობის ეფექტის მნიშვნელობაზე, რამაც, მაღალი ალბათობით, უნდა ჩაშალოს მოიერიშეთა გეგმები:

> უნდა დაელოდოს [თავდაცვაში მყოფი] ბნელი ღამის ყველაზე უკუნ დროს, უნდა გამოყოს რაც შეიძლება მეტი, ცხენოსნობისთვის გამოუსადეგარი და უსარგებლო მოკაზმული [?] ცხენი, რომლებსაც მებრძოლებთან ერთად ირგვლივ განალაგებს, ცხენებს კუდებზე უნდა მიებას კამეჩის გამხმარი და ანტილოპას დაძველებული ტყავები, შემდეგ ეს ცხენები უნდა გარეკონ მოწინააღმდეგის ბანაკის მიმართულებით მათრახების ცემითა და ძლიერი ტკივილის მიყენებით, რასაც თან უნდა სდევდეს გამაყრუებელი ხმაური, შემაძრწუნებელი ხმები და საზარელი ყვირილი. როდესაც დაინახავენ რომ [მოწინააღმდეგის] ლაშქარი გაურკვევლობამ, ხმაურმა და არეულობამ მოიცვა, მაშინ უნდა შეუტიოს ყველა მხრიდან კავალერიამ და რჩეულმა ქვეითებმა, არტილერიის მხრიდან აალებადი, ნავთობის ჭურვების მასიური მხარდაჭერით, ამის შედეგად მხდალთა გულებს ძრწოლა მოიცავს და მებრძოლებიც შეშინდებიან. მათთან [ძირითად შემტევ რაზმებთან] ერთად ბრძოლაში უნდა ჩაერთონ და იერიშში მიიღონ მონაწილეობა ბორცვების უკან და მთების ძირას მყოფმა ჩასაფრებულმა მებრძოლებმა, სწორედ ესაა საუცხოო ფანდი უდიდესი და დიადი ხრიკი, მას წინ ვერ აღუდგება ლაშქარი და სასტიკად დამარცხდება, ამას [ვინმე] იშვითად თუ გადაურჩება. თუკი [მხედართმთავარმა] შემუსრა მოწინააღმდეგე ის მიაღწევს საწადელს და მიიღებს სასურველს. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვერ შეძლო, ეს ამგვარი ძალისხმევის გაღების შემდეგ, მოწინააღმდეგის ძალები მაინც დასუსტდება, ლაშქარი აირევა და მდგომარეობა გაუარესდება. ხრიკები მხდალთა გულებში შიშს სთესავს, ხოლო სიმამაცისა და უშიშრო-

> ბის გამოხატვა (მოწინააღმდეგეში) არყევს მამაცობას და შფოთს აძლიერებს, ყვებიან, რომ ამას ალექსანდრე [მაკედონელი] ამბობდა (Al-Harawiyyi n.d., 28).

ალ-ჰარავი წერს, რომ ციხე-სიმაგრის ალყაში მოქცევის შემდეგ, მხედართმთავარმა ადგილობრივ რიგით მოსახლეობაში მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის გზით. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ, მთავარსარდალმა უნდა ჩაატაროს აქტიური საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ღონისძიებები უშუალოდ მოწინააღმდეგის ბანაკში, სადაც უნდა გააჩინოს უნდობლობისა და ვითარებიდან გამოუვალობის გრძნობები. ასევე, უნდა გამონახოს მოწყვლადი ინდივიდები ან პირები, ვის პირად ამბიციებზეც შესაძლოა მუშაობა და მათი მოქრთამვა. ამასთან, ავტორი აფრთხილებს მხედართმთავარს, რომ სამიზნე აუდიტორიაში არ უნდა განიხილოს ძლიერი მორალური პრინციპების მქონე ადამიანები და/ან ფანატიკოსები:

> და, თუ მივიდა იმ მიწაზე, რომელსაც დაეუფლა და არ სურს მისი დატოვება, მაშინ უნდა დაამშვიდოს გლეხები და დაუცველი მოსახლეობა, გაუგზავნოს მათ, ვინც დაიცავს და წინ აღუდგება სამხედრო დანაშაულებს, ამას კი ორი მიზანი აქვს: პირველი ისაა, რომ ისინი მოამარაგებენ ლაშქარს საკვებითა და ყველა საჭირო პროდუქტით, ხოლო მეორე ისაა, რომ, როდესაც ამის შესახებ შეიტყობს ალყაში მოქცეული ციხე-სიმაგრისა და დაკავებული მიწების მოსახლეობა, მიხვდებიან, რომ მეფე უკან არ დაიხევს, მათი შემართება გაქრება, ისინი მოდუნდებიან, მათი ძალისხმევა შესუსტდება და გაჩნდება აზრთა სხვადასხვაობა. მაშინ მან [მხედართმთავარმა] უნდა მიწეროს ციხე-სიმაგრის მოსახლეობასა და მეთაურებს და შესთავაზოს მათი [მეთაურების] მოთხოვნების შესრულება, რათა მათი ნაწილი მიხვდეს, რომ ზოგიერთ მათგანს აქვთ მასთან [მხედართმთავართან] კავშირი და მასთან ურთიერთობა სურთ, თუმცა მან (მხედართმთავარმა) არ უნდა გაამხილოს არავინ ცხადად და დეტალები საიდუმლოდ შეინახოს, რათა თითოეულ მათგანს სხვაზე ჰქონდეს ეჭვი და თავად შეეცადოს [მხედართმთავართან] დაახლოებას, რათა მისი [მხედართმთავარი] მხარდაჭერა და შეწევნა მოიპოვოს. მათ უნდა შეპირდეს მიწებისა და სამფლობელოების გაფართოებას, რათა მიაღწიოს საწადელს და მიიღოს სასურველი [შედეგი] ზედმეტი ჯაფისა და მძიმე შრომის გარეშე. უარი არ უნდა თქვას მათ სასულიერო და თანამდებობის პირებთან და მათ მიმდევრებთან მიმოწერაზე, რადგან მათ შორის არიან ისეთები, ვინც სუსტია რწმენაში, თავს იმართლებს და ღალატობს, ესწრაფვის ამქვეყნიურ ცხოვრებას და არ ადარდებს იმქვეყნიური, არის უგუნური და თავქარიანი, დახარბებულია ამა ქვეყნის კეთილდღეობასა და მაღალ თანამდებობებს, ცდილობს დიდგვაროვნებისა და მეფეების წყალობის მოპოვებას, მიეცემა გარყვნილებას ახალგაზრდებთან, მათი დახმარებით მიაღწევს რასაც სურს, თუმცა უნდა უფრთხილდეს ბერებსა და ასკეტებს, მათი დახმარებით ვერ მიაღწევს საწადელს, რადგან ისინი ძლიერები და ჯიუტები არიან სარწმუნოებაში და არაფრად აგდებენ ამ ქვეყნიერებას, რაც აკავებს მათ სამყაროს საქმეებში ჩარევისგან. მე ისინი გამოვცადე, ეს გამოცდილება ეჭვს არ ბადებს და არ ვიცი ისეთი რამ, რაც შეიძლება ამას შეეწინააღმდეგოს (Al-Harawiyyi n.d., 24).

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებას ალ-ჰარავი ალყაში მყოფებსაც ურჩევს:

> მოწინააღმდეგის ლაშქარში მან უნდა შეაგზავნოს ხალხი, ვინც გაავრცელებს სიცრუეს და მეომრებში დასთეს პანიკას. [ისინი, ვინც] მათ მშობლიურ მხარეზე ცრუ ინფორმაციას გაავრცელებს მათი მიწების აოხრებისა, ოჯახის წევრების გარდაცვალების, დიდგვაროვანთა დახოცვისა და მღვდელმთავრებს შორის განხეთქილების [?] შესახებ, შემაშფოთებელი ჭორები და დამანგრეველი ილუზიები, რაც დაასუსტებს მათ ძალებს და შეარყევს სულისკვეთებას და ეჭვს გააჩენს მათ გულებში. უნდა დაუკავშირდეს მათ ამირებს, მისწეროს მათ მეთაურებს ის, რაც მათივე საჭიროებებს ეხება და ხასიათს აამებს, რათა გაიყოს მათი აზ-

> რები და აირიოს გეგმები. ასევე, უნდა აჩვენოს საკუთარი სიმტკიცე, ძალა, სამხედრო ძლიერება და მტრის მიწების მიმართ გულგრილობა (Al-Harawiyyi n.d., 27).

ბოლოს კი, უკიდურეს შემთხვევაში, ავტორი ურჩევს ალყაში მყოფ ლიდერს გამოიყენოს საგარეო კავშირები:

> [ხელისუფალმა] თავი უნდა შეიკავოს მოწინააღმდეგესთან ელჩების გაგზავნისგან, გარდა პასუხის დაბრუნების შემთხვევისა რადგან ეს წარმოაჩენს მის ძლიერ პოზიციას, ციხე-სიმაგრის შეუვალობასა და მოწინააღმდეგის არაფრად ჩაგდებას. მტრის წინააღმდეგ დახმარება უნდა სთხოვოს სხვა მმართველებს, [მოწინააღმდეგის] მტრებსა და მეზობლებს, რათა თავს დაესხან [მოწინააღმდეგის] მიწებს და გაილაშქრონ [მოწინააღმდეგის] ტერიტორიებზე. ვთვლი, რომ ხრიკები და ეშმაკობა სხვისთვის სამხედრო დახმარების თხოვნას სჯობს, რადგან ის, ვისაც სთხოვს [ხელისუფალი] დახმარებას მტრის წინააღმდეგ, შეიტყობს მის სისუსტეებზე და უძლურებაზე, გაუჩნდება სიხარბე და შესაძლოა [საკუთარი ცოდნა] სხვა დროს ბოროტად გამოიყენოს (Al-Harawiyyi n.d., 28).

არ არის გამორიცხული, რომ ალ-ჰარავის მიერ გამოთქმული რჩევებისა და მოსაზრებების ერთ-ერთ ინსპირაციას წარმოადგენდეს სალაჰ ად-დინის მიერ მასიაფის ციხეზე მოწყობილი ალყა. მასიაფის ციხე მდებარეობს სირიის ცენტრალურ ნაწილში, ჰამას პროვინციაში. ბოლო დრომდე ციხესიმაგრე ტურისტულ ობიექტს წარმოადგენდა, თუმცა, სირიის სამოქალაქო ომის პერიოდში იქ სამხედრო ქვედანაყოფები იყო განლაგებული და დაბომბვებისას მრავალი შენობა დაზიანდა.

შუა საუკუნეებში მასიაფის ციხეს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აკონტროლებდა ცენტრალური სირიიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსკენ გადასასვლელს. XII საუკუნეში ციხესიმაგრე ისმაილიტთა, იგივე ასასინთა სექტის[3] მიმდევრების ხელში იყო, რომლებსაც ვინმე სინანი იგივე „მთის მოხუცი“[4] მეთაურობდა. სწორედ ამ პერიოდში, ეგვიპტის ცნობილი სულთანი სალაჰ ად-დინი ახლო აღმოსავლეთში პოზიციებს იმყარებდა და სირია-ერაყის ტერიტორიაზე სამხედრო კამპანიებს აწარმოებდა[5].

სალაჰ ად-დინი, რომელიც მუსლიმთა გამაერთიანებელი, ორთოდოქსალური ისლამის დამცველი და წმინდა ომის მთავარი გმირი გახდა, ისმაილიტთა უპირველესი მტერი იყო. სალადინის განეიტრალების მიზნით, ასასინებმა მის წინააღმდეგ ორი თავდასხმა განახორციელეს 1174/1175 და 1176 წწ., თუმცა ორივე უშედეგოდ დასრულდა (Lewis 1953, 239; Kamāl al-Dīn 1996, 371). 1176 წლის აგვისტოში სალაჰ ად-დინი ისმაილიტთა ტერიტორიებზე შეიჭრა და მასიაფის ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ამ კამპანიის წარუმატებლობის რამდენიმე განსხვავებული ვერსია არსებობს. არაბი ისტორიკოსების უმეტესობა, გადმოგვცემს, რომ სალაჰ ად-დინმა უკან დაიხია, მისი ბიძის, ჰამას გამგებლის, შიჰაბ ად-დინ აჰმად იბნ ტაკაშის თხოვნის საფუძველზე, რომელსაც ისმაილიტებმა სულთანთან შუამავლობა სთხოვეს. ალეპოელი ბიოგრაფის ქემალ ად-დინის ვერსიაში ვკითხულობთ, რომ სწორედ ასასინთა პოლიტიკით შეშინებულმა სალაჰ ად-დინმა სთხოვა ბიძას, ეშუამდგომლა ისმაილიტებთან, რათა მათ უსაფრთხოდ წასვლის უფლება მიეცათ. და ბოლოს, ისმაილიტი ავტორების თანახმად, სულთანი შეუშინდა სინანის ზებუნებრივ ძალას და ბიძის შუამდგომ-

---

[3] ისმაილიტთა, იგივე ასასინთა ისტორიისა და მოღვაწეობის შესახებ იხ.: ნარიმანიშვილი, გ. 2012. *ასასინები - მითი და რეალობა.* თბილისი: მწიგნობარი.

[4] სირიაში ისმაილიტთა მოღვაწეობასა და „მთის მოხუცზე“ იხ.: Narimanishvili, G. 2015. “Salah al-Din and Syrian Assassins”, In *Badania nad swiatem islamu*, edited by Marta Wozniak and Dorota Scislewska, 211 – 221. Lodz; Lewis, B. 1953. “Saladin and the Assassins.” *Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London,* Vol. 15, No. 2: 239-245.

[5] სალაჰ ად-დინის კამპანიების შესახებ იხ.: Gibb, sir Hamilton A. R. 1969. “The Rise of Saladin, 1169 – 1189.” In *A History of the Crusades,* general editor Kenneth M. Setton, *Vol I: The First Hundred Years,* edited by Marshall W. Baldwin, 563-589. Madison, Milwaukee & London: The University of Wisconsin Press.

ლობით მიიღო უფლება, უსაფრთხოდ დაეტოვებინა ისმაილიტთა ტერიტორიები. საბოლოოდ, სალაჰ ად-დინი და სინანი გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდნენ და მას შემდეგ რაც სულთანმა დატოვა ისმაილიტთა ტერიტორიები, ასასინებს მასზე არც ერთი თავდასხმა აღარ განუხორციელებიათ (Lewis 1966, 124).

ისტორიულ წყაროებში შემონახული ცნობების საფუძველზე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სალაჰ ად-დინის მხრიდან წამოსული საფრთხის თავიდან ასაცილებლად სინანმა როგორც დიპლომატიურ, ასევე ბრძოლის ასიმეტრიულ მეთოდებს მიმართა. ისმაილიტების მიერ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციის გამოყენების ირიბ მტკიცებულებას ვკითხულობთ არაბი ისტორიკოსის, იბნ ალ-ასირის მიერ მოთხრობილ ამბავში.

> როდესაც სალაჰ ად-დინმა დატოვა ალეპო, როგორც უკვე ვახსენეთ, მუჰარამის თვეში ის გაემართა ისმაილიტთა მიწების დასალაშქრად, რათა შებრძოლებოდა მათ, იმის საპასუხოდ რაც მის წინააღმდეგ ჩაიდინეს და მოკვლა სცადეს. მან [სალაჰ ად-დინმა] მოაოხრა, აიკლო და გადაწვა მათი მიწები, ალყა შემოარტყა და მიაყენა კატაპულტები მასიაფის ციხეს, რომელიც არის მათი [ისმაილიტთა] უდიდესი ციხე-სიმაგრე და უმტკიცესი ციტადელი. მან შეავიწროვა იქ მყოფები, რაც [გარკვეულ დროს] გაგრძელდა. სინანმა, ისმაილიტთა წინამძღოლმა, [ელჩობა] გაუგზავნა სალაჰ ად-დინის ბიძას [დედის მხრიდან], ჰამას მმართველს შიჰაბ ად-დინ ალ-ჰარამის, შუამდგომლობა და საკითხის მოგვარება სთხოვა. [ამასთან დაემუქრა] და უთხრა: თუ ამას არ შეასრულებ შენც მოგკლავ და სალაჰ ად-დინის მთელ ოჯახსაც. მანაც [შიჰაბ ად-დინმა] უშუამდგომლა და [ისმაილიტთა] დანდობა სთხოვა. ისიც [სალაჰ ად-დინი] დათანხმდა, [ისმაილიტებს] დაუზავდა და გაეცალა. მისი [სალაჰ ად-დინის] ლაშქარმა მოიწყინა ბრძოლების ხანგრძლივობისგან, ამასთან მათ დაუგროვდათ მოსულის ლაშქრისა და ისმალიტთა მიწების აოხრებისგან მოპოვებული ალაფი. მათ მოითხოვეს [სალაჰ ად-დინისგან] სახლში დაბრუნება და დასვენება, რაზეს ის დათანხმდა და ლაშქართან ერთად ეგვიპტეში დაბრუნდა (Ibn al-Athīr 2003, 81).

უპირველეს ყოვლისა, იბნ ალ-ასირის მონათხრობიდან ჩანს, რომ სალაჰ ად-დინი არ იქცეოდა ალ-ჰარავის მიერ განხილული ტაქტიკის თანახმად. ის ემოციურ ფონზე მოქმედებდა და სავარაუდოდ მკაცრად გაუსწორდა ადგილობრივ მოსახლობას. მაღალი ალბათობით, სულთანმა ასევე ვერ შეძლო ციხის დამცველთა შორის შუღლის ჩამოგდება ან ვინმეს მოქრთამვა. არ არის გამორიცხული, რომ ალ-ჰარავი სწორედ ამ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც საკუთარ ნაშრომში წერს, რომ პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, „ბერების და ასკეტების“ მოსყიდვა შეუძლებელია. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტრაქტატის ავტორი უშუალოდ მონაწილეობდა მასიაფის ალყაში. მეორეს მხრივ საინტერესოა სინანის ტაქტიკა, რომელმაც მიმართა როგორც დიპლომატიურ გზებს, ასევე ასიმეტრიულ მეთოდებს. განსაკუთრებით ყურადსაღებია იბნ ალ-ასირის ინფორმაცია სალაჰ ად-დინის ლაშქარში არსებული საბრძოლო მოტივაციის პრობლემებისა და ქემალ ად-დინის ცნობა სალაჰ ად-დინის ემოციური განწყობის შესახებ. ერთის მხრივ, ჯარი ბრძოლებით „გადაიღალა“ და ალაფით სურდა სახლში დაბრუნება, ხოლო მეორეს მხრივ, სულთანი მიხვდა, რომ ჩიხშია და ალყის მოხსნას გეგმავდა სახის დაკარგვის გარეშე. შესაძლოა, რომ სწორედ სინანის მსტოვრების აქტიური მუშაობის შედეგი იყო ის, რომ მოსულსა და ალეპოში გამარჯვებულ ლაშქარში ნიჰილისტური განწყობები გაჩნდა, ხოლო სულთანი მზად იყო უარი ეთქვა შურისძიებაზე. თავის მხრივ, სინანსაც უნდა სდომოდა კონფლიქტის სწრაფი დასრულება, რადგან სალაჰ ად-დინის წინააღმდეგ ხანგრძლივი გამკლავება გაუჭირდებოდა. შესაბამისად, გამოსავალი მოიძებნა შიჰაბ ად-დინის სახით, რომელმაც დაპირისპირებულ მხარეებს უშუამდგომლა და ვითარება განიმუხტა. მიუხედავად იმისა, რომ სალაჰ ად-დინმა მასიაფთან სახე შეინარჩუნა და შემდგომში უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია, ალ-ჰარავის ნაშრომში ჩანს სულთნის არაპირდაპირი კრიტიკა:

> არ შემოარტყას [მხედართმთავარმა] ალყა ისეთ ციხეს, რომელიც ზედმეტად დიდია, მის ჯარზე ძლიერია და [რომლის წინააღმდეგ] დამარცხდება, რადგან ღია ომისა და ალყის დაწყების შემდეგ უკან დახევა სირცხვილი და მარცხის ტოლფასია (Al-Harawiyyi n.d., 23).

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ალ-ჰარავის ზედმიწევნით კარგად ჰქონდა შესწავლილი სალაჰ ად-დინის კამპანიების დროს დაშვებული შეცდომები, რის ანალიზსაც საკუთარ ნაშრომში წარმოადგენს. შესაძლოა, სწორედ მასიაფის ციხესთან მიღებული გამოცდილების შედეგია, რომ ალყებისადმი მიძღვნილ თავებში, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ღონისძიებებსა და ასიმეტრიულ ტაქტიკაზე. ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ საბრძოლო თუ სტრატეგიული კომუნიკაციების ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად, ალ-ჰარავის მიერ აღწერილი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის წარმოების საფუძვლები საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩება და დღესაც აქტიურად გამოიყენება საომარი თუ პოლიტიკური კამპანიების წარმოებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნარიმანიშვილი, გ. 2012. *ასასინები - მითი და რეალობა.* თბილისი: მწიგნობარი.

ნარიმანიშვილი, გ., დ. ბერაძე. 2024. „ინფორმაცია, ჯაშუშები და საიდუმლო XII საუკუნის არაბულ სამხედრო ტრაქტატში“. *თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი*, no. 6. თბილისი. https://journals.org.ge/index.php/asianstudies/article/view/176.

Díaz, O. T. 2014. “*Al-Taḏkira al-Harawiyya: Un Espejo De Príncipes Singular*.” Facultad de Filología, Grado en Estudios Árabes e Islámicos, Trabajo de Fin de Grado, Curso 2013/2014, Tutor: Rafael Valencia Rodríguez, Universidad de Sevilla.

Gibb, sir Hamilton A. R. 1969. “The Rise of Saladin, 1169 – 1189.” In *A History of the Crusades*, general editor Kenneth M. Setton, *Vol I: The First Hundred Years*, edited by Marshall W. Baldwin, 563-589. Madison, Milwaukee & London: The University of Wisconsin Press.

Hamblin, W. J. 1992. “Saladin and Muslim Military Theory.” In *The Horns of Hattin*, edited by B. Z. Kedar, 228-238. London: Variorum and Jerusalem: Yad Izhak Ben-Zvi and Israel Exploration Society.

Al-Harawiyyi. n.d. *Kitāb at-taḏkira al-Harawiyya fi l-ḥiyali l-ḥarbiyya*. al-Qāhira: maktaba aṯ-ṯaqāfa ad-dīniyya. Accessed May 25, 2025. https://archive.org/details/Pdf0977 (არაბულ ენაზე).

Ibn al-Athīr. 2003. *Kāmil fi al-Tārīkh*. M., X, taḥqīq Abi al-Fiḍa’ ‘Abd Allah al-Qaḍi. Bayrūt: dār al-kutub al-‘ilmiyya (არაბულ ენაზე).

Kamāl al-Dīn.1996. *Zubdat al-ḥalab min tārīkh ḥalab*. waḍa‘a ḥawāshya Khalīl al-Manṣūr. Bayrūt: dār al-kutub al-‘ilmiyya (არაბულ ენაზე).

Lewis B. 1953. “Saladin and the Assassins.” *Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London,* Vol. 15, No. 2: 239-245.

Lewis B. 1966. “Kamāl Al-Dīn’s Biography of Rāšid Al-Dīn Sinān.” *Arabica*, Vol. 13, Issue 3 (Jan): 225–267.

Narimanishvili, G. 2015. “Salah al-Din and Syrian Assassins.” In *Badania nad swiatem islamu*, edited by Marta Wozniak and Dorota Scislewska, 211-221. Lodz.

Sourdel-Thomine, J. 1961. “Les Conseils du Šayh Al-Harawi a un Prince Ayyubide.” In *Bulletin d’études orientales* 17 (1961-1962): 205-268.

Sourdel-Thomine, J. 1986. “Al-Harawī al-Mawṣilī.” In *The Encyclopedia of Islam*, New Edition Prepared by a Number of Leading Orientalists, edited by B. Lewis, V. L. Menage, Ch. Pellat and J. Schacht, vol. III, 178. Leiden: Brill and London: Lizac and Co.

Герасимов, В. 2013. “Ценность науки в предвидении.” *Военно-промышленный курьер – ВПК*, 27 февраля 2013 г. https://vpk.name/news/85159_cennost_nauki_v_predvidenii.html.

დანართი

მასიაფის ციხე

(ფოტო გადაღებულია გიორგი ნარიმანიშვილის მიერ 2006 წ.)